ქალაქ გორში, სტალინის გამზირი N5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოს ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. გორი

27 ივლისი 2018 წელი

სხდომა გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის სამუშაო ოთახში.

სხდომას ესწრებოდნენ:

გელა კაპანაძე - კომისიის თავმჯდომარე, გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

თეიმურაზ მანველიშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დალი ტლაშაძე - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

მირიან კლიმიაშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ზურაბ ჯალაღანია - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

მურაზ შიოშვილი - კომისიის აპარატის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში შესყიდვების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებიდან,ქალაქ გორში, სტალინის გამზირი N5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოს ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო პირობების, გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის და სატენდერო განცხადების ტექსტის დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა მურაზ შიოშვილმა კომისიას წარუდგინა სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურიდან მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით შედგენილი სატენდერო პირობების, გასაფორმებელი ხელშეკრულების და სატენდერო განცხადების პროექტები.

განიხილეს:

სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო პირობების, გასაფორმებელი ხელშეკრულების და სატენდერო განცხადების პროექტები. განსაზღვრა სატენდერო წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი 130 (ასოცდაათი) ლარით.

კომისიამ დაადგინა:

1. ერთხმად იქნეს მიღებული და დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით აუქციონის გარეშე, ქალაქ გორში, სტალინის გამზირი N5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოს ასფალტის საფარის

მოწყობის სამუშაოების შესყიდვის სატენდერო პირობები, გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი და სატენდერო განცხადების ტექსტი;

2 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 13068 (ცამეტი ათას სამოცდარვა ლარი) ლარი, დ.ღ.გ-ს გათვალისწინებით;

3 ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 130 (ასოცდაათი ლარი) ლარი;

4 სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული სატენდერო პირობების, გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის, სატენდერო განცხადების ტექსტის და წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე : გელა კაპანაძე

კომისიის წევრები: თეიმურაზ მანველიშვილი

დალი ტლაშაძე

მირიან კლიმიაშვილი

ზურაბ ჯალაღანია

აპარატის წევრი: მურაზ შიოშვილი